ექსისტენციალიზმი და ვაჟა–ფშაველას შემოქმედება

მალხაზ ბალაძე
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhazb1@gmail.com

https://doi.org/10.52340/lac.2022.766

ექსისტენციალიზმი ი მოვლენაა, რომელიც წარმოიშვა დიდი სოციალური რყევების დროს და შემდგომი განვითარება მიიღო ომისშემდგომი სულიერი კრიზისის დროს. როგორც დამოუკიდებელმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ, ექსისტენციალიზმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა XX საუკუნის II ნახევარში და დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ფილოსოფიურ და კულტურულ განვითარებაზე. ექსისტენციალისტ ფილოსოფოსთა ყურადღების ცენტრში იმყოფება ადამიანი, მისი უნივერსალურობა, მისი ადგილი სამყაროში, მისი არსი და არსებობა. ექსისტენციალისტთა პრინციპებს შორის უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი: პირველი არის ის, რომ ადამაინის არსებობა წინ უსწრებს არსს, რომელსაც იგი იძენს მისი არსებობის მანძილზე; ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ თავს, ამავე დროს, ეს პროცესი გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე; ადამიანის არსებობა– ეს თავისუფალი არსებობაა. ადამიანისთვის თავისუფლება, ეს პირველყოვლისა, არჩევანის თავისუფლებაა; ადამიანი პასუხისმგებელია თავის და სხვა ადამიანთა მოქმედებაზე და ადამიანური არსებობა დროებითია და წარმავალი.

არსებობის ფილოსოფია არა მარტო გამოხატავს საუკუნეთა მიჯნაზე არსებულ გონება–განწყობათა სპეციფიკას, არამედ ეხმიანება თანამედროვეობასაც, რამდენადაც იგი თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს სინამდვილის მხატვრულ–ფილოსოფიურ გააზრებას და ადამიანის შინაგან სამყაროს. ექსისტენციალური ფილოფიისათვის დამახასიათებელი ტრაგიზმი და ყოფიერების პესიმისტური შეფერილობა ნაცნობია დღევანდელი ადამიანისთვისაც. ძირითადი საკითხები, რომელსაც ამ მიმართულების ყველაზე აქტიური წარმომადგენლები განიხილავენ, აქტუალურია დღესაც. ექსისტენციალიზმი ეცდება ააღორძინოს ონტოლოგია, მეთოდოლოგიის და გნოსეოლოგიის საწინააღმდეგოდ, რომელიც გავრცელდა ფილოსოფიაში XX საუკუნეში.

ექსისტენციალისტების აზრით, ირაციონალური აზროვნების ძირითადი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამოდის სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირების პრინციპიდან. ამის შემდეგ მთელი სინამდვილე, მათ შორის ადამიანიც, რაციონალისტის წინ წარმოსდგება მხოლოდ, როგორც მეცნიერული გამოკვლევისა და პრაქტიკული მანიპულაციის ობიექტი. რის გამოც, ასეთი მიდგომა ატარებს უსახო ხასიათს... ეგზისტენციალიზმი ერთმანეთს უპირისპირებს ფილოსოფიასა და მეცნიერებას. ფილოსოფიის საგანი, ამბობს ჰაიდეგერი, უნდა გახდეს „ყოფიერება“, მაშინ, როცა მეცნიერების საგანია „არსებული“. „არსებულად“ იგულისხმება ყველაფერი, რაც ემპირიულ სამყაროს მიეკუთვნება, რისგანაც აუცილებელია განვასხვაოთ თვითონ ყოფიერება.

უკანასკნელი მიიწვდომება არა გაშუალებულად (განსჯითი აზროვნების საშუალებით), არამედ მხოლოდ უშუალოდ, იხსნება ადამიანისთვის, როგორც მისი საკუთარი ყოფიერება, მისი პირადი არსებობა, ე.ი. როგორც ექსისტენცია. სწორედ ექსისტენციაში მდგომარეობს სუბიექტისა და ობიექტის დაუნაწევრებელი მთლიანობა, რომელიც მიუწვდომელია, როგორც განსჯით–მეცნიერული, ისე სპეკულაციური აზროვნებისათვის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი ვერ შეიცნობს საკუთარ თავს, როგორც ეგზისტენციას; ამისთვის აუცილებელია, იგი მოხვდეს საზღვრით სიტუაციაში, ე.ი. სიკვდილის პირისპირ. მონახავს რა თავის თავს, როგორც ეგზისტენციას, ადამიანი პირველად მოიპოვებს თავისუფლებასაც. [ბალაძე,2017:129]

ექსისტენციალიზმის თანახმად, თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი არ გვევლინებოდეს როგორც ნივთი, რომელიც ბუნებრივი ან სოციალური აუცილებლობის ზემოქმედებით ყალიბდება, არამედ „ირჩევდეს“ თავის თავს, ყალიბდებოდეს ყოველი თავისი საქციელით და მოქმედებით, ამით თავისუფალი ადამიანი პასუხს აგებს ყველა თავის ნამოქმედარზე და არ იმართლებს თავს „გარემოებებით“ [ფილოსოფიური, 1987, 148–149].

ტრადიციული ფილოსოფიისა და მეცნიერების ინტელექტუალიზმის გადალახვით, ექსისტენციალიზმს ყოფიერება ესმის, როგორც „რაღაც უშუალება“. ყოფიერება შეიმეცნება მხოლოდ ინტუიციურად, ის არ არის ემპირიული რეალობა, რომელიც გვეძლევა აღქმაში. ყოფიერება არ არის რაციონალური კონსტრუქცია, „შემოთავაზებული მეცნიერული გააზრებით“, არც იდეალისტური ფილოსოფიის „გონებისათვის გასაგები არსი“. არსებობის ფილოსოფია, გადალახავს რა ფსიქოლოგიზმს, ხსნის განცდათა ონტოლოგიურ აზრს, რომელიც გამოდის ამ შემთხვევაში, როგორც რაღაც ტრანსცენდენტალური მიმართულება თვით ამ განცდისა. ჩვენი ყოფიერების–ექსისტენციის–მთავარ ნიშნად გვევლინება ტრანსცენდენციის გასნილობა, არაჩაკეტილობა. [https://fki.lgaki.info]

რუსეთში ექსისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმართულება, წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის დროს ნ. ბერდიაევისა და ლ. შესტოვის შემოქმედებაში. მოგვიანებით ევროპაში, გერმანიაში (ჰაიდეგერის,იასპერსის და ბუბერის შემოქმედებაში). მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში ამ მიმართულებას იკვლევდნენ სარტრი, კამიუ, მარსელი. 50–60 იან წლებში ვრცელდება ევროპაში და ა.შ.შ. ექსისტენციალიზმის წინამორბედებად ითვლებიან პასკალი, კირკეგორი, დოსტოევსკი, ნიცშე. ასევე მოცემულ მიმართულებაზე იმოქმედა ჰუსერლის ფენომენოლოგიამ.

არსებობის ფილოსოფიამ ითამაშა პირველხარისხოვანი როლი ინტელექტუალურ კულტურაში. იგი სხვა ფილოსოფიურ მიმართულებათაგან განსხვავებით ქადაგებს ადამიანური ყოფის უნიკალურობას,რომელსაც ვერ აღწერს მეცნიერული ტერმინები და არ გამოითქმის ტრადიციული ფილოსოფიური კატეგორიებით. ექსისტენციალიზმი იკვლევდა ინდივიდის მიერ საკუთარი არსის გადალახვის ფორმებს, ყურადებას ამახვილებდა პიროვნების ემოციური ბუნების გამოკვლევაზე, არსებობას თვლიდა ირაციონალურად, ხოლო ადამიანს–„უცხოდ“ საზოგადოებასთან მიმართებაში. ექსისტენციალიზმის ეს და სხვა ბევრი ნიშანი, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია XIX და XX საუკუნის ლიტერატურისათვის.

მთავარი არსი ეგზისტენციალიზმისა არის დაპირისპირება სოციალურ და ინდივიდუალურ ყოფას შორის, მათი გათიშულობის მტკიცებით. ეს დაპირისპირება გადმოიღვრება ადამიანის პრობლემის მოგვარებაში ანტითეზისა და პარადოქსის ფორმით.. ამ სამყაროში გაძლებისათვის ინდივიდს მოუწევს გაერკვეს თავის შინაგან სამყაროში, შეაფასოს თავისი შესაძლებლობები. წინა პლანზე დგება ადამიანის პრობლემა,

ეგზისტენციალიზმის ძირითადი დებულება , არსებობა წინ უსწრებს არსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ჯერ არსებობს, მოევლინება სამყაროს, შემდეგ კი ხდება პიროვნება.

სამყაროსგან გათიშულობა აძლევს ადამიანს თავისუფლებას, მასთან კავშირი–არსებობას. ეს მნიშვნელოვანი დასკვნაა ექსისტენციალისტებისა, რომელიც ჭეშმარიტებას იძენს ლიტერატურული მაგალითებით. ამ ჭეშმარიტებას ასე განმარტავს გასეტი: „შკალის ერთ–ერთ უკიდურეს წერტილზე რომ ვდგავართ, რეალური სინამდვილის გარკვეულ მოვლენებთან– ადამიანებთან, საგნებსა თუ სიტუაციებთანა გვაქვს საქმე; ისინი ცოცხალ რეალობად გვევლინებიან; და, პირიქით, მეორე უკიდურეს წერტილზე დგომისას საშუალება გვეძლევა ისე აღვიქვამდეთ ყველაფერს, როგორც ჭვრეტით საწვდომ რეალობას [გასეტი, 1992, 19] „ამდენად – ეგზისტენციალიზმი არის ადამიანის შერწყმა თავის თავთან. ეს არის „სუფთა თვითშემეცნება“ [Экзистенциализм , 1966, 63].

ასე რომ, სუფთა ფილოსოფიური ჩარჩოებიდან გამოსვლით, ექსისტენციალიზმი გახდა დამახასიათებელი საერთო კულტურული მოძრაობისთვის, რადგანაც ის წარმოადგენდა ადამიანის სულიერი, ემოციური, ფსიქოლოგიური ხასიათის ერთობლიობას. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ექსისტენციალისტების მიერ აღმოჩენილი ყველა ნიშანი (კატეგორიები) შესანიშნავი მხატვრულ ფორმით გამოვლინდა ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში, ეს იქნება პიროვნების არჩევანის თავისუფლება, საზოგადოებრივ, კოლექტიურ ცნობიერებასთან დაპირისპირებისა, თუ ინდივიდის პრობლემა და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პრობლემების გადაჭრისა და მიღწევის გზებიც ზუსტად ექსისტენციალიტ ფილოსოფოსთა მიერ აღმოჩენილ პრინციპებს ემთხვევა.

აქ საკითხი დგას შემდეგნაირად: როცა საუბრობენ ფსიქოლოგიზმზე ლიტერატურაში, აღნიშნავენ, რომ „ტერმინი „ფსიქოლოგიზმის“ ორგვარი გაგება არსებობს. ფართო გაგებით, ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ლიტერატურისა და ხელოვნების მიერ ადამიანის ცხოვრების ასახვისა და ხასიათების შექმნის საერთო თავისებურებები და საშუალებები. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ფსიქოლოგიზმი დამახასიათებელი იქნება ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. ვიწრო გაგებით კი, ფსიქოლოგიზმი გაიგება, როგორც ლიტერატურის განსაკუთრებული თვისებები, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ნაწარმოებისათვის. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ფსიქოლოგიზმი გვევლინება განსაკუთრებულ მეთოდად, ფორმად, რომელსაც შეუძლია რეალურად და ცოცხლად ასახოს პერსონაჟის სულიერი განცდები. ესინის სიტყვებით, „ ფსიქოლოგიზმი – ეს არის განსაზღვრული მხატვრული ფორმა, რომელთანაც დგას და რომელშიც აისახება მხატვრული აზრი, იდეურ–ემოციური შინაარსი“ [А.Б.Есин. http://www.philol.msu.ru].

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ექსისტენციალისტური პრობლემატიკა შეიძლება უხვად შეგვხვდეს ლიტერატურაში, თუმცა, მისი ვიწრო გაგებით, არც თუ ისე ბევრია. აქ საუბარია იმაზე, თუ რამდენად მიმართულია მწერლის მსოფლმხედველობა ადამიანის ექსისტენციის კვლევისაკენ მხატვრული ფორმით. მაგალითად, როცა ჩამოთვლიან ექსისტენციალიტ ფილოსოფოსებს: ნიცშე, სარტრი, ჰაიდეგერი, კამიუ და სხვები, იქვე ფუძემდებლად ახსენებენ დოსტოევსკის, რომელიც კლალიკოსი მწერალია და არა კატეგორიებით მოაზროვნე ფილოსოფოსი. აღნიშნავენ, რომ დოსტოევსკისთვის რომ გეთქვათ, ექსისტენციალისტი მწერალი ხარო, გაუკვირდებოდა. აქ მწერლის მიერ ადამიანური ყოფიერების ღრმა შრეებში წვდომასა და მის სწორ დანახვასთან გვაქვს საქმე. ასევე შეგვიძლია ვთქვათ ვაჟა–ფშაველაზე, რომლის შემოქმედებაში ექსისტენციალისტ ფილოსოფოსთა „აღმოჩენები“ მხატვრული ფორმით არის განხორციელებული უფრო ადრე,

ვიდრე თვით ეს გაგება გაჩნდებოდა ფილოფიაში. ამ ნაშრომში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიცაა „ზღვრული სიტუაცია“.

ექსისტენციალისტების მიხედვით, ფილოსოფიის კვლევის საგანი უნდა გახდეს არა ემპირიული სამყარო, არამედ „ყოფიერება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი ვერ შეიცნობს საკუთარ თავს, როგორც ექზისტენციას. იგი ჩართულია ყოველდღიურ საზრუნავში, რომელიც ჭეშმარიტ და აუცილებელ პირობად ეჩვენაბა. ისინი ამ მდომარეობას „მანს“ უწოდებენ. საკუთარი ჭეშმარიტი ყოფიერების დასანახად, საკუთარი ჭეშმარიტი არსის დასანახად ადამიანი უნდა გამოვიდეს „მან“ მდგომარეობიდან და „მუნ ყოფიერებაში“ დაბრუნდეს, დატოვოს კოლექტიური ცნობიერება და იქცეს ინდივიდად. ამაში მას ეხმარება ის უფლება, რასაც „არჩევანის თავისუფლება“ ჰქვია, როგორც კირკეგორი ამბობს: „ან“, „ან“. ეს რომ მოხდეს ადამიანში, ამისთვის მზაობაა საჭირო (ეს არ არის ეხლანდელი საუბრის თემა, ამიტომ აღარ გავაგრძელებთ საუბარს).

ერთ–ერთი მეთოდი, რომლის მიხედვით ადამიანში მსგავსი ცვლილება, ანუ ინდივიდად ჩამოყალიბება ხდება, არის და აუცილებელია, რომ იგი მოხვდეს საზღვრით სიტუაციაში, ე.ი. სიკვდილის პირისპირ. მონახავს რა თავის თავს, როგორც ეგზისტენციას, ადამიანი პირველად მოიპოვებს თავისუფლებასაც. სამყაროსგან გათიშულობა აძლევს ადამიანს თავისუფლებას, მასთან კავშირი, არსებობას – ეს უმნიშვნელოვანესი დასკვნაა ექსისტენციალისტებისა. გასეტიც აღნიშნავს, რომ ყოველდღიურობაში ჩართულ ადამიანს საგნები, მოვლენები, სიტუაციები ეჩნება ჭეშმარიტად და, პირიქით, საპირისპირო მხრიდან მას საშუალება ეძლევა აღვიქვამდეს ყველაფერს, როგორც ჭვრეტით საწვდომ რეალობას [გასეტი, 1992, 19)

ექსისტენციალისტების აზრით, ზღვრულ სიტუაციაში, რომელიც აუცილებელი პირობაა საკუთარ თავთან დაბრუნებისა, ადამიანი შეუძლია მოაქციოს რამდენიმე გარემოებამ. ყოფიერების არსის ყველა მეთოდს შორის ექსისტენციალისტები ეძებენ ისეთს, რომელშიც არსებობა გაიხსნებოდა ყველაზე სრულყოფილად. ასეთი კი არის – შიში. შიში – ეს არის საწყისი განცდა, რომელიც მთელი არსებობის საფუძველში დევს. საბოლოო ჯამში, ეს არის სიკვდილის შიში [Экзистенциализм: www.youtube.com]. სარტრისთვის ადამიანი–ეს თავისი შიშია. გარდა შიშისა, იასპერსი ფიქრობს, რომ ადამიანური არსებობა იხსნება მხოლოდ ზღვრულ სიტუაციებში – ტანჯვა, ბრძოლა და სიკვდილი. ახლის გააზრებისთვის, პროტაგორას მიხედვით, რაღაც არაადამიანური აქტი უნდა მოხდეს, რომელსაც პლატონი „დიდ წუხილს“ უწოდებს. პრუსტი ამ შემთხვევაში ამბობდა, რომ, რაც უფრო ღრმაა არტეზიული ჭა, მით უფრო მაღლა ამოხეთქავს იქიდან წყალი. სიმაღლე სიღრმის პროპორციულია [მამარდაშვილი,1992:67]. იგივე აზრს ასე აფიქსირებს ნიცშე: „ხის კენწერომ რომ ზეცას წვდეს, ფესვებმა ჯოჯოხეთს უნდა უწიოს“ [ნიცშე,1993:149]

ვაჟა–ფშაველა პირველი მწერალია ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც პირველად აღმოაჩინა და გახსნა ეს პრობლემა. ფერიცვალება ადამიანში სწორედ „ზღვრულ სიტუაციებში“ ხდება. მწერალი ღრმად ჩასწვდა ადამიანის სულის ღრმა შრეებს და იგრძნო ის დაფარული განცდები და გრძნობები, ქვეცნობიერი იმპულსები და მოქმედების მოტივაციები. მან პირველმა შენიშნა, რომ მხოლოდ საზოგადოებისგან, კოლექტიური ცნობიერებისგან, „მან“ ისგან გამოყოფა ხდება საკუთარ თავის აღმოჩენის, ჭეშმარიტ „მე“ ში დაბრუნების საფუძველი.

ალუდა ქეთალაურის ფერიცვალების საფუძველი სიკვდი–ლიცოცხლის ზღვარზე დგომა აღმოჩნდა. მუცალთან გააფთრებული, დაძაბული შერკინება იქცა პიროვნების გარდასახვის მიზეზად. აქვე აუცილებელია, ჩავუღრმავდეთ იმ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, რაც იწვევს

ასეთ ცვალებადობას. ბუნებრივია, ადამიანის რაციონალური ბუნება უძლურია განსაზღვროს, გონებრივ–ლოგიკურ ფორმაში მოაქციოს ის, რაც ირაციონალურია. დევიდ იუმი ამბობს, რომ „ჩვენ უაღრესი გულმოდგინებითაც ვერასოდეს ვერ აღმოვაჩენთ რაიმეს, გარდა იმისა, რომ ერთი ხდომილება მოსდევს მეორეს; ამასთან, ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ვწვდეთ რაიმე ძალას, რომლითაც მოქმედებს მიზეზი, ან კავშირს მასა და მის ნაგულიხმევ მოქმედებას შორის....ერთი მოვლენა მოსდევს მეორეს, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვამჩნევთ, რაიმე კავშირს მათ შორის. ისინი, თითქოს, თანაარსებულნი არიან, მაგრამ არასოდეს– შეკავშირებულნი“ [იუმი, 1992, 78]. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა შევეცადოთ გავიგოთ, ნიშნების დონეზე მაინც, თუ რა ხდება ადამიანის შინაგან სამყაროში ამ დროს. რადგან ადამიანი არა მხოლოდ მისი ემპირიული არსებობაა, არამედ მას აქვს „მეტაფიზიკური სტატუსი და „გადაულახავი ტრანსცენდენტალურობა“, ლიტერატურაც უფრო მეტ სიახლოვეს ფილოსოფიასთან ავლენს“ [რამიშვილი,2016:111]. ეს ფილოსოფიურობა კი მოითხოვს გარკვეულ ახსნას და ამ პროცესში აქტიურად ერთვება ფსიქოლოგია, რამდენადაც „შემეცნების თეორია სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიის ფილოსოფია“ [Л.Витгенштейн,1994:24], და ამიტომაც რეალიზმში მკაფიოდ იკვეთება მიმართულება– „ლიტერატურულ–ფსიქოლოგიური“ პრობლემატიკა.

პირველი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს ზღვრულ სიტუაციაში ჩავარდნისას, არის ის, რომ მოქმედება მყისიერად ხდება და დრო შემჭიდროვებულია, ფაქტიურად დრო „იკარგება“, აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, პროცესში გონება ვეღარ ერთვება, მას დრო სჭირდება, რადგან გონება აზროვნებს, მსჯელობს, ეს კი დროში გაწელილი პროცესია. გონებამ იცის, რა „შეიძლება“ და „არა“, რაც ეწინააღმდეგება, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ჭეშმარიტ, თავისუფალ ბუნებას. „მან“ ში ჩართული ადამიანი გონებით მოქმედებს, ამიტომ იგი არ არის თავისუფალი. თავისუფლება კი აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტების შემეცნებისა, იმიტომ, რომ თავისუფლება ბადებს ინდივიდს, რომელსაც ნამდვილი „მე“ გააჩნია. ბერდიაევს აქვს ნათქვამი, რომ სახარებაში წერია, „სცან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგანთავისუფლოს შენ“, თუმცა, თავის მხრივ, ჭეშმარიტების „ცნობას“ სჭირდება თავისუფლებაო. ასე რომ, ეს ის ხდომილებებია, იუმის თქმით, რომლებიც განუსხვავებელია ერთმანეთისაგან. იგივე აზრს ნიცშე შემდეგნაირად გამოხატავს: „და შენი საკუთარი გონება – შენ თვითონ უნდა დაარჩო და წააღრძო; რამეთუ იგი ამა ქვეყნის გონებაა,–ამით ისწავლი ქვეყნის უარყოფას“ [ნიცშე,1993:156].

ამდენად, როდესაც გონება ვეღარ კარნახობს ადამიანს „განსაზღვრულობებით“ მოქმედებას, მაშინ ადამიანი მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად და არა სიტუაციაზე მოსარგებად. „შესაბამისად“ მოქმედებაში იგულისხმება ის რეალური წარმოჩენა არსისა, თუ ვინ ვართ ჩვენ რეალურად. ამას კარგად ხსნის მერაბ მამარდაშვილი: „მე ვარ უსასრულო ველში, რომელშიც გრძნობები, ფსიქოლოგიური კანონის თანახმად, შეიძლება შეინიღბოს: „სიძულვილის გრძნობა შეიძლება სიყვარულის გრძნობად შეინიღბოს და პირიქით. მე არ ვიცი ჩემი საკუთარი თავი, მაგრამ რაღაც წერტილში მჟღავნდება, რა ვარ სინამდვილეში.[...] მაშასადამე, აქ იგულისხმება: „მიდის ნიღაბი“.ხშირად ნიღაბია ყველაფერი ის ჩვენში, რასაც ვადებთ ნიშანს: „მე“. ხშირად და უმთავრესად ეს ნიშანი „მე“ არის ნიღაბი ჩემში მოქმედი სხვა ძალისა, სხვისი აზრისა, სხვისი გრძნობის იმიტაციისა. სიკვდილის წინაშე კი [...] „მიდის, ქრება პერსონა“ და ლაპარაკობს ნივთი ანუ საქმე, როგორც ეს სინამდვილეშია....მჟღავნდება, რა ხარ სინამდვილეში [მამარდაშვილი,1992:154]. აღარ არსებობს გეგმა, დაკვირვება, გააზრება. ცხოვრების ეს მონაკვეთი ხდება სპონტანური და დაულაგებელი (გონების მიერ მ.ბ.) და რაც უფრო დაულაგებელია და სპონტანური, მით უფრო ცოცხალია (მამარდაშვილი,

იქვე), რეალური და ჭეშმარიტი. ეს ის მომენტია, რაზეც ოშო იტყვის :"როცა განმცდელი აღარ არსებობს – არსებობს განცდა" [ოშო,2017: 8]. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითგანცდის გარეშე, არ არსებობს შემეცნება, ახლის დანახვა, გარდასახვა, სახარებისეულად– „ხელმეორედ შობა". თომას სახარებაში მაცხოვარი ამბობს: „ნურაფერს ნუ დაიჯერებთ, რასაც საკუთარ თავზე არ გამოცით", გარედან მოწოდებული ცოდნა ვერ გვიშველის და ვერ გარდაგვქმნის, რადგან თავისთავად არაფერი არსებობს, მამარდაშვილი ამბობს: „არ არსებობს თავისთავად მოქმედი მექანიზმები, კანონები, გარანტიები; არაფერი სრულდება ხდომილებაში ჩვენი ძალისხმევის ჩაურთველად.[...] იოანესა და ქრისტეს შემდეგ, ვიცით, რომ ეს ჩვენი ძალიხმევით ხდება" [მამარდაშვილი,1992:37].

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ მინდია (სხვა პერსონაჟებიც) არა საკუთარი ძალისხმევით, არამედ შემთხვევით მოხვდნენ „ზღვრულ სიტუაციაში". ეს არ არის ეხლა ჩვენი განხილვის თემა, ამიტომ აღარ ჩავუღრმავდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ აქ დგება მეორე საკითხი, რომელსაც ეწოდება „მზაობა" და ექსისტენციალისტები ამ საკითხსაც ეხებიან. ვაჟა–ფშაველასთან სრულყოფილადაა იგი გამოხატული, რომელსაც ჩვენ სხვა თემაში შევეხებით.

ამდენად, ექსისტენციალისტების აღმოჩენა, რომ „შინაგანი ადამიანის" დაბადებას გარკვეული პირობები სჭირდება და იგი არის სევდა, ტანჯვა, ტკივილი, რომელიც სრულყოფილად „ზღვრულ სიტუაციებში" ხორციელდება, ნათლად, ყოველი წვრილმანი ფსიქოლოგიური ნუანსის ზუსტი ასახვით მხატვრულ ფორმაში, შესანიშნავადაა გადმოცემული ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში, კერძოდ, პოემებში: „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ–მასპინძელი" და „გველის მჭამელი".

ლიტერატურა:

1. ფილოსოფიური, 1987–ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ.
2. ბალაძე, 2017–მხატვრულ სახეთა სისტემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში,ბათ.
3. გასეტი, 1992–ხოსე ორტეგა ი გასეტი, ხელოვნების დეჰუმანიზაცია, თბ.
4. მ.მამარდაშვილი,1992–საუბრები ფილოსოფიაზე, თბ.
5. იუმი, 1992–იუმი დ., გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ, თბ.
6. ვ.რამიშვილი,2016–ვალერიან რამიშვილი, XX საუკუნის ფილოსოფია, ნაწ.I,თბ.
7. ნიცშე,1993–ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა,თბ.
8. ოშო, 2017– ოშო, ტანტრა–უმაღლესი შემეცნება,თბ.
9. Экзистенциализм , 1966– Современный экзистенциализм, критические очерки. М.
10. Л.Витгенштейн,1994–Витгенштейн Л. Философские работы, М.
11. А.Б.Есин. http://www.philol.msu.ru
12. Экзистенциализм: www.youtube.com

Malkhaz Baladze

Batumi Shota Rustaveli State University

Existentialism and the literary works of Vazha-Pshavela

Abstract

Philosophical direction - existentialism has greatly influenced the thinking and worldview of cultural humanity. It was main and the most popular direction in the late 19th century and in the first half of the 20th century. Existentialism left his deep mark on all spheres of human spiritual activity, but first of all it effected literature.

After the Romantics, the development of Realism in the new Georgian literature, took the existential vision of human existence to a new level. It innovatively revealed his place in the world, complex inner nature and deep psychological shifts, which is known as ''internal dialogue'' in literary critisism and what is called ''literary psychology''. It is directly related to the existentialism that is the subject of our observation right now. Based on the above, Vazha-Pshavela's literary work is a clear example of this.

It is interesting that the conclusions that the existentialists give us as a result of philosophical observations on man, his existence, are seen and shown in an artistic form in Vazha-Pshavela's literary works.

Existentialists discover that the birth of an "inner man" requires certain conditions, and that it is melancholy, suffering, pain, which is perfectly accomplished in''extreme situations.'' Every detail, with its precise reflection of psychological nuances in artistic form, is perfectly conveyed in Vazha-Pshavela's literary works, in particular, in his poems.